საგანი: გეოგრაფია
კლასი : VIII

თემა: სამხრეთი ამერიკა

საათების სავარაუდო რაოდენობა: 8 სთ

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:

- ანდები მსოფლიო სყველაზე გრძელი მთათა სისტემაა;
- სამხრეთ ამერიკაში ყველაზე მშრალი უდაბნო – ატაკამა მდებარეობს;
- სამხრეთ ამერიკაში სტეპებს პამპასებს უწოდებენ;
- სამხრეთ ამერიკისათვის ტროპიკული ტყეებია (ჰილეები) დამახასიათებელი, რომელსაც თავისი მნიშვნელობის გამო „დედამიწის ფილტვებს“ უწოდებენ;
- სამხრეთ ამერიკა მსოფლიოში ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა;
- ამაზონი ყველაზე წყალუხვი მდინარეა მსოფლიოში;
- სამხრეთ ამერიკაში უმეტესწილად ესპანური და პორტუგალიური ენებია გავრცელებული;
- სამხრეთ ამერიკა რასობრივი და ეთნიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა;

სამხრეთ ამერიკაში ინტენსიურად იჩეხება ტყეები.

თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:

- რისი გაგება შემიძლია სამხრეთ ამერიკის შესახებ რუკის გამოყენებით?
- როგორ გამოვიყენო ინფორმაციის სხვადასხვა წყარო სამხრეთ ამერიკის შესასწავლად? როგორ გამოვიყენო ცხრილები, გრაფიკები და დიაგრამები დაკვირვების შედეგების წარმოსაჩენად?
- რატომ გვხვდება დიდი მთიანი მთაგრეხილები კონტინენტების კიდეებში და არა შუაგულში?
- რატომ არის სამხრეთ ამერიკა მდიდარი სპილენძითა და ნავთობით?
- როგორ ყალიბდება ტროპიკული ტყეები და რატომ აქვთ მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა?
- რატომ არის ამაზონი ყველაზე წყალუხვი მდინარე მსოფლიოში?
- რატომ არის სამხრეთ ამერიკისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებულად მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნა?
- რატომ არის სამხრეთ ამერიკაში ფართოდ გავრცელებული ესპანური და პორტუგალიური ენები?
- რატომ იჩეხება ტყეები?
- რატომ არის სამხრეთ ამერიკაში გამოფიტული ნიადაგის პრობლემა?

	სამიზნე ცნება - „გეოგრაფიული გარსი “ **შედეგები** -გეო.საბ 1,2,3,4,12. კლასი (8)
	საკითხი - ტენიანი ეკვატორული ტყეები (ჰილეები)

რატომ არსებობს მკვეთრად გამოხატული სოციალური-ეკონომიკური უთანასწორობა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში?

თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები:

1. ანდები;
2. ჰილეები;
3. ელ-ნინიო;
4. ამაზონის აუზი;
5. პამპასები;
6. ატაკამა - ყველაზე მშრალი უდაბნო;
7. კონკისტადორები;
8. ბრაზილია;

ტყის გაჩეხვა.

	<u>კომპლექსური დავალების პირობა:</u> წარმოიდგინეთ, რომ სიტყვით უნდა გამოხვიდეთ გარემოს დაცვისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე. მოამზადეთ სტატია ამაზონის აუზის ჰილეების შესახებ, რომლითაც წარსდგებით მსმენელთა წინაშე. **<u>თქვენს მიერ წრმოდგენილ სტატიაში ხაზგასმით წარმოაჩინე:</u>** ● ამაზონის აუზის ჰილეების წარმოქმნის პროცესში გეოგრაფიული გარსის თითოეული სფეროს როლი და მათ შორის მიზეზ–შედეგობრივი კავშირები. ● ამაზონის ტყეების მნიშვნელობა. ● ტენიან ტყეებთან დაკავშირებული საფრთხეები და მათი გამომწვევი მიზეზები.
	<u>პრაქტიკული რჩევები სტიტიაზე მუშაობისთვის:</u> ● სტატიაში ნათლად უნდა <u>ასახოთ ამაზონის</u> აუზის ჰილეების ბიომრავალფეროვნების განმსაზღვრელი ფაქტორები.<u>(იხლიეთ ჰიპერლინკი)</u> ● ამაზონის აუზის ჰილეების მნიშვნელობა დედამიწისათვის. ● ჰილეების <u>ეკოლოგიური პრობლემის</u> გამომწვევი ბუნებრივი და ანთროპოგენური პროცესები და ამ პრობლემის გადაჭრის გზები.